აღინიშნება სამუშაო დღის უფრო მაღალი სიმჭიდროვე და ნაკლები იძულებითი მოცდენები, რაც განაპირობებს შრომის მწარმოებლურობისა და ნაყოფიერების ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პროფესიის მუშის შრომის პროცესში ხშირია ხანმოკლე პაუზები, რაც ხელს უწყობს მომუშავეთა მუშაობისუნარიანობის და ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის შენარჩუნებას. ჭიათურის მაღაროს მუშები მუშაობენ მტვრის, ხმაურისა და არახელსაყრელი მიკროკლიმატის ზემოქმედების ქვეშ. მაღაროში მომუშავეთა შრომის ჰიგიენური პირობები (შრომის სიმძიმის და დაძაბულობის გათვალისწინებით), საქართველოში მოქმედი შრომის ჰიგიენური კლასიფიკაციის მიხედვით, მიეკუთვნება დასაშვებ – 2.0 კლასს, მავნე – 3.1, 3.2, 3.3 კლასებს.

ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევების საფუძველზე შემუშავდა ჭიათურის მაღაროს მუშათა შრომის პროცესის გამაჯანსაღებელი რეკომენდაციები. მიწოდებული რეკომენდაციების კომპლექსში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება შრომის და დასვენების რაციონალური რეჟიმის შემუშავებას კონკრეტული პროფესიის მუშათა შრომის პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ ბრძანება „მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ დამტკიცების თაობაზე, დანართი №2, სსმ, №69, 2007.

2. კვერენჩხილაძე რ. შრომის ჰიგიენა, თბილისი, 2013 gv. 81-91.

3. Измеров Н.Ф. Индустриализация современного мира и ее последствия для здоровья. // «Гиг. Труда» – 1991. №5. С. 1-4.

4. Методические рекомендации “Основные принципы и методы эргономической оценки рабочих мест для выполнения работ сидя и стоя” №212 – 85.

Khvadagiani K., Patiashvili N., Tatalashvili N., Bakradze L., Qvatadze M.

HYGIENIC AND ERGONOMIC CHARACTERISTICS OF LABOR PROCESS OF CHIATURA MANGANESE MINE WORKERS

TSMU, DIRECTION OF ENVIRONMENTAL HEALTH AND OCCUPATIONAL MEDICINE; N. MAKHVILADZE SCIENTIFIC-RESEARCH INSTITUTE OF LABOR MEDICINE AND ECOLOGY

Research objective is the hygienic and ergonomic characteristic of labor process of Chiatura manganese mine workers. The major psycho-physiological factors of labor process, and also feature of a work-rest schedule of working leading professions are for this purpose studied. The standard physiological and ergonomic methods of researches are applied.

It is established that the labor process of Chiatura manganese mine workers is characterized by the complex of unfavorable factors, among which high density of working day (73.4-90.0%), labor process' tension and heaviness (2.0–3.3 class), regional muscular loading (predominantly of shoulder griddle) draw attention; Besides often realization of working process is connected with forced condition of the body. The level of mechanization and automation of the production has the certain influence on the character of working activity and density of working day. On the basis of the received results sanitation measures are developed.

ჯავახაძე რ., რუხაძე ნ., წერეთელი მ., ღვაბერიძე ო., ციმაკურიძე მარ.

პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში

თსსუ, გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის მიმართულება; ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი

ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეამ მე-60 შეხვედრაზე დაამტკიცა დასაქმებულთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის გლობალური სამოქმედო გეგმა „GLOBAL PLAN OF ACTION ON WORKERS'HEALTH 2008–2017“, რომელიც წარმოადგენს პროფესიული ჯანმრთელობის მიმართულებით ჯანმო-ს სტრატეგიის გაგრძელებას. საქართველოში დღემდე არ შემუშავებულა, ჯანმოს გლობალური სამოქმედო გეგმის (2008-2017წწ.) შესაბამისად, დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა და გლობალური გეგმის რეალიზაციის გზები. აუცილებელია შეიქმნას გლობალური გეგმის შესრულების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დამსაქმებლის, დასაქმებულების, პროფესიული კავშირების, პროფესიული ასოციაციების და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის განვითარებას და სამუშაო ადგილებზე მავნე რისკის ფაქტორების აღმოფხვრას ან შემცირებას [1, 2, 3].

საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, გარკვეული ძვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა; მათ შორის, შრომის მედიცინის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს (მათ შორის საწარმოო გარემოს) შექმნა და პირველადი ჯანდაცვის პრიორიტეტული განვითარება, რომლის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს დასაქმებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სისტემის (შრომის მედიცინის სამსახურის) აღდგენა/რეორგანიზაცია [4, 5].

საქართველოს აქვს განსაზღვრული და ჩამოყ-

ალიბებული საერთაშორისო პოლიტიკა, არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, აღიარებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების (შრომის მედიცინის) საკითხებში. ამის შედეგია გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა „პროფესიული დაავადებების პრევენცია", რომელიც ხორციელდება ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების დაცვა, პროფესიული დაავადებების პრევენცია და მონიტორინგი, დასაქმებულისათვის შრომითი პროცესის უსაფრთხოების შენარჩუნება და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, რაც შედის როგორც სახელმწიფოს, ასევე დამსაქმებლის, დასაქმებულის და მთელი საზოგადოების ინტერესებში.

პროგრამის მოცულობით გათვალისწინებულია, მრეწველობის სხვადასხვა დარგების საწარმოებში, დასაქმებულთა პროფესიული ჯანმრთელობის კვლევა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით და გამოვლენილი წარმოებით განპირობებული ან პროფესიულ დაავადების შემთხვევების აღრიცხვა მონაცემთა ბაზაში; სამუშაო ადგილებზე არსებული პროფესიული რისკების აღწერა და შეფასება. პროფესიული რისკის ფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების რეკომენდაციების შემუშავება კონკრეტული საწარმოებისათვის; დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემისა და სამედიცინო გასინჯვების პერიოდულობის განსაზღვრა მიზნობრივი ჯგუფების გათვალისწინებით; საწარმოს ადმინისტრაციისა და დასაქმებულთა სწავლება პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხებზე; კონკრეტულ საწარმოებში, ქვეყნის მასშტაბით, არსებული პროფესიული რისკების ეპიდემიოლოგიური რუქისა და მონაცემთა ბაზის ფორმირება. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სერვისები არ არის დუბლირებული სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ ჯანდაცვით პროგრამებში. პროგრამით შეთავაზებული მომსახურების სპეციფიკურობიდან გამომდინარე და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მისი ინტეგრირება არ ხდება სხვა სახელმწიფო პროგრამებთან.

დასაქმებული მოსახლეობის პროფესიული და წარმოებით განპიროებებული დაავადებების პრევენციის, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის და პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სფეროში ეროვნული საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის სრულყოფის **მიზნით** კომპლექსურად (ჰიგიენური, ტოქსიკოლოგიური, ეპიდემიოლოგიური და კლინიკური კვლევებით) შესწავლილი იქნა შემდეგი ძირითადი საწარმოები:

– ს.ს „ჯორჯიანმანგანეზის"ჭიათურის მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები;

– ს.ს „ჯორჯიანმანგანეზის" ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა;

– საქნახშირი „ჯი-აი-ჯი" ჯგუფი;

– შპს „ჰაიდელბერგ ცემენტი" - კასპის ცემენტის ქარხანა;

– თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა;

– საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია „თბილსრესი" (გარდაბანი);

– შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოება" - თბილისის თამბაქოს ფაბრიკა „პირველი";

– პურის წარმოება - ქ. თბილისი ქარხანა „კოლხი" და ქარხანა №4;

– ღვინის წარმოება და მევენახეობა - ქარხანა „თელიანი ველი"და „შატო მანავი";

– თბილისის ალადაშვილის სახ. კლინიკურ საავადმყოფო, ვ. სანიკიძის სახ. ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ კლინიკურ საავადმყოფო (ქირურგიული პროფილის ექიმები და ექთნები);

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგები:

ჰიგიენური კვლევა. ჩატარებული კომპლექსური ჰიგიენური კვლევების საფუძველზე ჰიგიენური შეფასება მიეცა მომუშავეთა შრომის პირობებს საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის „შრომის პირობების ჰიგიენური კლასიფიკაცია საწარმოო გარემოს ფაქტორებისა და სამუშაოს მავნეობისა და საშიშროების მიხედვით" საფუძველზე. დადგინდა მომუშავეთა შრომის პირობები სამუშაოს მავნეობისა და საშიშროების კლასის (დასაშვები, მავნე და საშიში) მიხედვით და განისაზღვრა სავარაუდო პროფესიული რისკის ჯგუფები. შემუშავებული იქნა მომუშავეთა შრომის პირობების გაჯანსაღება-გაუმჯობესების რეკომენდაციები, რომელიც გადაეცა წარმოებებს რეალიზაციისათვის.

ჩატარებული იქნა 28090 გამოკვლევა შემდეგი მავნე ფაქტორების მიხედვით:

- ფიბროგენული აეროზოლი – 397 სამუშაო ადგილი, 2282 გამოკვლევა;
- მავნე ქიმიური ნივთიერებები – 408 სამუშაო ადგილი, 3711 გამოკვლევა;
- საწარმოო მიკროკლიმატი – 896 სამუშაო ადგილი, 8506 გამოკვლევა;
- საწარმოო ხმაური – 1049 სამუშაო ადგილი, 4888 გამოკვლევა;
- საწარმოო განათება – 920 სამუშაო ადგილი, 1844 გამოკვლევა;
- სამუშაო დროის ქრონომეტრაჟი – 470 სამუშაო ადგილი, 1654 გამოკვლევა;
- ფიზიოლოგიური გამოკვლევები – 107 სამუშაო ადგილი, 7811 გამოკვლევა.

ჰიგიენური კვლევების შედეგები გამოყენებული იქნება საწარმოებში მავნე და საშიში სამუშაო ადგილების დადგენისა და ლიკვიდაციისათვის, სამუშაო ადგილებზე პროფესიული რისკის შეფასება მართვისათვის (ატესტაცია).

ეპიდემიოლოგიური კვლევა – კითხვარების გამოყენებით გამოკითხული იქნა 4825 რესპოდენტი; შესწავლილი იქნა ავადობა, შემთხვევათა რიცხვისა

და დროებითი შრომისუუნარო დღეების გაანალიზებით. დამუშავდა და ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში შეტანილ იქნა წარმოებებში არსებული 4825 დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის გაანალიზებით მიღებული მონაცემები.

რეფერენს კვლევა ეპიდემიოლოგიურად გამოკვლეული 4825 რესპოდენტიდან 1131 ჩაუტარდა რეფერენს კვლევა და გამოვლინდა პროფესიულ დაავადებაზე საეჭვო 75 შემთხვევა. მონაცემები შეტანილი იქნა ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში.

ტოქსიკოლოგიური კვლევა

საწარმოში ქიმიური ფაქტორების იდენტიფიკაციის საფუძველზე შეფასდა პროფესიული ზემოქმედების რისკი. შემუშავდა დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვის ქიმიური უსაფრთხოების სისტემა-მოდელი, ცალკეული საწარმოსათვის — მინიმოდელი. დასაბუთებული იქნა ამ სისტემის შემადგენელი ელემენტების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო მოთხოვნებთან.

სპეციალიზებულ საერთაშორისო ბაზებიდან მოპოვებული იქნა ინფორმაცია საქართველოში მიმოქცევაში არსებული რიგი ქიმიური ნივთიერებების შესახებ. 121 ქიმიურ ნივთიერებაზე (სამრეწველო შხამები და პესტიციდები) მოპოვებული ტოქსიკოლოგიურ-ჰიგიენური ინფორმაცია შეტანილ იქნა ჩვენს მიერ შედგენილ მონაცემთა საინფორმაციო ბაზაში. ელექტრონული საინფორმაციო ბაზა დაეხმარება მეწარმეს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ქიმიური პროდუქციის მოხმარების კონტროლის საშუალებების გამოყენებასა და დასაქმებულთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაში.

შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი – „ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობისათვის საშიში ქიმიური ფაქტორების პროფესიული და/ან ეკოლოგიური ზემოქმედების რისკის შეფასება", რომელსაც თან დაერთო რეპროტოქსიკანტთა ჩამონათვალი. ამ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა კითხვარი, რომლითაც გამოიკითხა 2131 რესპოდენტი (305–14,3% ქალი და 1826–85,7% მამაკაცი). აღნიშნული კვლევით შეფასდა დასაქმებულთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

შეიქმნა სერვისის სისტემა - კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტი, რომელსაც პირობითად ეწოდება „პროფესიულ დაავადებათა პრევენციის სახელმწიფო პროგრამის კომპიუტერული მომსახურების სისტემა."

პროგრამის ფრგლებში, 2007-2014 წლებში, ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ არის უგულებელყოფილი შესნავლილ საწარმოებში შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები (სამუშაო ადგილებისა და პროფესიების გათვალისწინებით). დასაქმებულთა უმეტესობას მუშაობა უხდება არახელაყრელ სამუშაო გარემოში და იმყოფება დაავადებების (პროფესიული და წარმოებით განპირობებული) განვითარების მაღალი რისკის ქვეშ. დასაქმებული, სამუშაოს დაკარგვის შიშით, საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე, იძულებულია შეურიგდეს არსებულ მდგომარეობას.

ფაქტობრივად არ არსებობს: პროფესიული ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სისტემა (OH&S), შრომის მედიცინის ეროვნული სამსახური სათანადო ინფრასტრუქტურით; პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და ეპიდზედამხედველობის სისტემა; სამრეწველო საწარმოებში პროფესიული რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა;

საქართველოში დღეისათვის მოქმედი შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემების მეთოდური მითითებები ILO-OSH-2001 არ ატარებს სავალდებულო ხასიათს და მხოლოდ მეთოდური რეკომენდაციების სტატუსი გააჩნია [1];

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები საფუძვლად დაედება პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სისტემის (OH&S) სრულყოფას, საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის შრომის მედიცინის სტანდარტების შემუშავებას. აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იქნება პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმატიულ-მეთოდური დოკუმენტების რევიზია და ახალი ნორმატიული დოკუმენტებისტექნიკური რეგლამენტების შემუშავება. დასაქმებული მოსახლეობის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვა მხოლოდ შრომის მედიცინის ეროვნული სამსახურის შექმნით არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარეობს პროგრამის სტრატეგიული მიმართულების „საქართველოს მოსახლეობის პროფესიული ჯანმრთელობის დაცვის" აქტუალობა. სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელება გრძელდება, საშუალებას მოგვცემს გარკვეულწილად გადაიჭრას ზემოთ აღნიშნული პრობლემები და, ევროკავშირისა და სხვა ქვეყნებში აპრობირებული შესაბამისი სამსახურების ანალოგიურად, შეიქმნას საფუძველი შრომის მედიცინის ეროვნული სამსახურის შექმნისათვის.

ლიტერატურა:

1. Руководство по системам управления охраной и медициной труда (ILO/OSH 2001).
2. Конвенция (МОТ)155-о безопасности и гигиене труда и производственной среды.
3. Конвенция (МОТ) 161-о службах гигиены труда.
4. Измеров Н.Ф. Охрана здоровья рабочих и профилактика профессиональных звболеваний на современном этапе. Медицина труда и промышленная экология, 2002.№1.с.1-11.
5.Сквирская Г.П. Общественное здравоохранение и медицина труда. Медицина труда и промышленная экология, 2002.№11. с. 1-9.

Javakhadze R., Rukhadze N., Tsereteli M., Gvaberidze O., Tsimakuridze M.

OCCUPATIONAL HEALTH AND SAFETY PROBLEMS IN GEORGIA

TSMU, DEPARTMENT OF ENVIRONMENTAL HEALTH AND OCCUPATIONAL MEDICINE; N. MAKHVILADZE RESEARCH SCIENTIFIC INSTITUTE OF LABOR MEDICINE AND ECOLOGY

In the frame of state program “Preventive of Occupational Diseases“, which is undergoing at N. Makhviladze Research Scientific Institute of Labor Medicine and Ecology , the main Georgian industries were widely-studied (hygienic, toxicological, epidemiological and clinical investigations).

The received data and results will underlie of improvement of occupational health and safety systems and working out the labor medicine standards for different branches of national economy in accordance with recommendations and demands of WHO and ILO. It gives possibilities to create and revision current sanitary-hygienic and epidemiological normative documents and harmonized with EU standards.

ჯავახაძე რ., ხატიაშვილი ნ., ჩიგოგიძე ხ., შუბლაძე ხ., ზურაშვილი დ.

მანგანუმის და მისი ნაერთების მოქმედება დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე

თსსუ, გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის მიმართულება; ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი

კაცობრიობის ერთ-ერთი აქტუალური გლობალური პრობლემაა გარემოს დაბინძურება და მისი უარყოფითი ზეგავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყანაში ყველა დონეზე მოიშალა სანიტარიულ-ჰიგიენური და გარემოს დაცვითი სისტემა, რამაც განაპირობა დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის აქტუალობა. ამ თვალთახედვით, ყველაზე პრიორიტეტულია მრეწველობის სხვადასხვა დარგში დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება და კვლევა. მომუშავეთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად პირველი რიგის ამოცანაა ორგანიზმზე მოქმედი რისკის ფაქტორების გამოვლენა საწარმოს სპეციფიკის, ჰიგიენურ -კლინიკური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ქვეყნის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების სისტემატიზაცია და უნიფიკაცია.

მრეწველობის სხვადასხვა დარგში დასაქმებული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იმყოფება საწარმოო გარემოს ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა მავნე ფაქტორების მოქმედების ქვეშ, რაც მნიშვნელოვნად აისახება მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამას ადასტურებს საერთო ავადობით გამოწვეული შრომის უნარის დროებითი დაქვეითების მაჩვენებლის ზრდა; პროფესიით განპირობებული დაავადებების ზრდის დინამიკა და ინვალიდობის მაღალი დონე.

ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის მიერ წლების განმავლობაში მანგანუმის წარმოებაში (ჭიათურის მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა) მომუშავეთა შრომის პირობების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლამ გამოავლინა მათ ორგანიზმზე საწარმოო მავნე ფაქტორების მოქმედების სხვადასხვა ეფექტი, რაც ვლინდება არა მხოლოდ პროფესიული პათოლოგიის, არამედ მრავალფეროვანი სომატური დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული სისტემის და სხვა) სახით, რომელიც ერთგვარ რისკის ფაქტორს წარმოადგენს საწარმოო მავნე ფაქტორების მოქმედებით განპირობებული დაავადებებისთვის.

სხვადასხვა მავნე საწარმოო ფაქტორის, როგორიცაა ქიმიური (მანგანუმის კონდენსაციის და დეზინტეგრაციის აეროზოლები) და ფიზიკური (საწარმოო ხმაური, ვიბრაცია, მძიმე ფიზიკური დატვირთვა, სტატიკური დაძაბულობა, არახელსაყრელი მიკროკლიმატი) ფაქტორის მაღალი ექსოზიციური დოზებით ერთდროული მოქმედება იწვევს შემდეგი პროფესიული დაავადებების განვითარებას: მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაცია, მანგანუმისმიერი ბრონქული ასთმა, ასთმური ბრონქიტი, მანგანოკონიოზი, ვიბრაციული დაავადება, ვიბრომანგანიზმი, სმენის ნევრიტი, ალერგიული დერმატიტი და სხვ. [1,4,5,6,8,9,10,11]. ეს დაავადებები განსაკუთრებით აღენიშნებათ იმ მუშებს, რომელთა შრომის პირობები მიეკუთვნება მავნეობის მესამე კლასს, ხარისხით 2, 3, 4; მანგანუმის ოქსიდები, დეზინტეგრაციის და კონდენსაციის სახით შეესაბამება მავნეობის II ხარისხს და II კლასს; ლოკალური ვიბრაცია – მავნეობის II-III ხარისხს; ხმაური – II-III ხარისხს, მძიმე ფიზიკური შრომა – III-IV კატეგორიას, რაც ქმნის წინაპირობას მომუშავეთა შორის პროფესიული დაავადებების განვითარებისთვის [3].

საქართველოში პროფესიული დაავადებების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია ვიბრაციული დაავადების და მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაციის შემთხვევებს (დიაგრამა 1).



დიაგრამა 1.1970-2011 წლებში მანგანუმის წარმოებაში პროფესიული დაავადებების შემთხვევების განაწილება ნოზოლოგიური ფორმების მიხედვით.